საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"
საქართველოს კანონის პროექტის

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტი მომზადებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის "თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის" რატიფიკაციიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" და "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონებიდან გამომდინარე. პროექტის მომზადება მიზნად ისახავს თამბაქოს კონტროლის გაძლიერების მექანიზმების ეფექტურად ასამუშავებლად დამატებითი ღონისძიებების მიზანმიმართულ რეალიზაციას.

კანონპროექტის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავლების კონფისკაციის რეგულირება.

კანონპროექტი დამატებით ხარჯებს არ ითვალისწინებს.

კანონპროექტის ავტორია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო წარმდგენი — საქართველოს პრეზიდენტი.